



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 0 23 0001755200



22/12/2023

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწესებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში 2018 წლის 7 სექტემბრის №67 გადაწყვეტილებით.

2.2. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შეფასების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 05 ოქტომბრის №1312755 ბრძანების (ბრძანებაში ცვლილება

1467906 31/10/2023) საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, . სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2021 წლის 31 მარტის №307964 წერილით წარმოდგენილი "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანის შესახებ წარმოდგენილი განცხადების ფარგლებში შეფასების განხორციელება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	არ შეფასდა			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	არ შეფასდა			

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 08 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და ექსპერტების გაცემული რეკომენდაციები განსაზღვრა რჩევებად.

შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3.სარეზოლუციონაწილი

აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:


1. შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
2. მიჩნეულ იქნეს, რომ "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2);
5. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის №1755167 სხდომის ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

1. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 22 დეკემბერს.

1. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №67, 6.04.2012, აკრედიტებული 2021 წლის 1 ივლისამდე
4	სტატუსის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საბჭო(ებ)ს ავტორიზებული №67 07/09/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოქიმია 0512
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქუჩა № 59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	22.12.2023
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2027